საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1900 2015 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სს „ენერგო-პრო ჯორჯიასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 5 554 (ხუთი ათას ხუთას ორმოცდათოთხმეტი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ (ს/კ 205169066).

2. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

N	მისამართი უძრავი ქონების დასახელება	დანართი საკადასტრო კოდი
1	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელ ირაგაში მდებარე 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	84.01.31.136
2	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელ ირაგაში მდებარე 962 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	84.01.31.130
3	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელ ირაგაში მდებარე 773 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	84.01.31.134